www.employer.ge

იანვარი, 2017

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
GEORGIAN EMPLOYERS' ASSOCIATION

ა. ბელიაშვილის ქ. #8 ტელ.: 2 14 73 73 მობ.: +995 579 555 551 ელ-ფოსტა: employer@employer.ge

# NEWSLETTER

კორპორატიული ტრენინგი - რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე

პროფესიული განათლების პროექტი - სემინარი

ბიზნეს სექტორის შეხვედრა საპარტნიორო ფონდთან

# საქართველო-ჩინეთის მასშტაბური ბიზნესფორუმი დაანონსდა

საქართველოს ივლისში ჩინეთის ბიზნეს დელეგაცია ეწვევა 100-ზე მეტი წარმომადგენლით. საქართველო-ჩინეთის ბიზნესფორუმის გამართვა დაანონსდა ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა“ (GEA) და ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს (CCPITBJ) შორის შეხვედრაზე.

ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭო წარმოადგენს ყველაზე მსხვილ და მნიშვნელოვან ორგანიზაციას ჩინეთის უცხოური ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებით. იგი აერთიანებს სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენელ 4000-მდე საწარმოსა და ორგანიზაციას პეკინში. მათი ორგანიზებით იმართება გლობალური ბიზნეს ფორუმები და გამოფენები.

დაანონსებული ბიზნესფორუმი გაიმართება პროექტის „ერთი მსოფლიო, ერთი სარტყელის“ ფარგლებში. როგორც ჩინეთის მხარემ აღნიშნა, საქართველოში ვიზიტი ასტანაში გამართული 3 თვიანი მსოფლიო ბიზნეს ფორუმის გაგრძელება იქნება. მათი სურვილია, ჩინეთის ბიზნეს დელეგაცია გამოუყვეს ე.წ აბრეშუმის გზას, რათა მაქსიმალურად განავითარონ სავაჭრო ურთიერთობები ბიზნეს ფორუმების, გამოფნების საშუალებით.

შეხვედრაზე, რომელსაც ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს ასოცირებული კონსული და ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების დეპარტამენტების წარმოამდგენლები ესწრებოდნენ, შეთანხმდნენ, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობა განვითარდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

• ორმხრივი ბიზნეს კავშირების განვითარება;

• გარემოსა დაცვისა და რესურსეფექტური წარმოების ხელშეწყობა;

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა და ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს შორის მზადდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლსაც უახლოეს მომავალში მოეწერება ხელი. მხარეებს შორის მომდევნო შეხვედრა ჩანიშნულია აპრილში, რომელზეც განიხილება დაგეგმილი ბიზნესფორუმის ორგანიზების დეტალები და განისაზღვრება ის ბიზნეს სექტორები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მასში.

## კონფერენცია „სამოქალაქო ტრანსპორტის მართვის სტრატეგიები“

17 იანვარს, ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებითა და ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია თემაზე „სამოქალაქო ტრანსპორტის მართვის სტრატეგიები“, რომელსაც უძღვებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული ტრანსპორტის განვითარების დარგის სპეციალისტები რიჩარდ კრისს (ყურაშვილი), დავიდ სკეჰანი, ჯოსეფ ჯიანნეტტო, ფერნანდო მათეო და როდიონ ოტლეტოვი. მოწვეული სპეციალები სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ნიუ-იორკის და ჩიკაგოს ტაქსის მძღოლების ფედერაციების და საქალაქო სატრანსპორტო კომპანიების წამყვან პოზიციებზე.

კონფერენცია გახსნა ქ. თბილისის ვიცე მერმა ირაკლი ლექვინაძემ. ღონისძიებას დაესწრებიან თბილისი მერიის ხელმძღვანელი პირები, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები და ბიზნეს სექტორი.
კონფერენციაზე აშშ-დან მოწვეული სპეციალისტები გაკეთდა მოხსენებები შემდეგი ძირითადი თემების შესახებ:

1) საცობების შემცირების სტრატეგიები და მათი გავლენა ქალაქის მობილურობაზე (ქრონიკული საცობის ეკონომოკური შედეგები; საცობების პრობლემის დაწვრილებითი განხილვა; საცობების შემცირების სტრატეგიები);
2) ქალაქ ნიუ-იორკის ტაქსების და ლიმუზინების კომისიის საქმიანობის გაცნობა;
3) საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა სატრანსპორტო სისტემის მართვის გაუმჯობესებისათვის (ლოჯისტიკის ავტომატიზაციის მართვის სისტემის 8 უპირატესობა);

კონფერენციის ბოლო ნაწილი დაეთმო დისკუსიას, სადაც განიხილეს თბილისში არსებული სიტუაცია გზებზე, პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები საცობების შემცირებასთან დაკავშირებით.

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ მომავალშიც გეგმავს სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებას აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით.

## ბიზნეს სექტორის შეხვედრა საპარტნიორო ფონდთან.

25 იანვარს ბიზნეს სექტორი, კერძოდ, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ. შეხვედრა გაიმართა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული პროექტის „ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან“ ფარგლებში.

შეხვედრა გახსნეს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ და დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა დანიელ გახარიამ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილე ნათია თურმავა, საინვესტიციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ჩერქეზიშვილი და სტარტაპ საქართველოს ხელმძღვანელი ვაჟა მენაბდე.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ბიზნეს სექტორის ინფორმირებას საპარტნიორო ფონდის და სტარტაპ საქართველოს მიერ მიმდინარე, განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ საპარტნიორო ფონდს გადასცა მადლობის სიგელი ბიზნეს სექტორთან აქტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის.

შეგახსენებთ, რომ ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების დაწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). ხოლო საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიზანია ორგანიზება გაუკეთოს ბიზნეს სეტორისთვის მსგავსი ინფორმაციის მიწოდებას.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მომავალშიც გეგმავს მსგავსი ტიპის შეხვედრების ორგანიზებას.

# კორპორატიული ტრენინგი - რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე

27-28 იანვარს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა კორპორატიული ტრენინგი ჰაიდელბერგცემენტის თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების საკითხებში. კერძოდ, ტრენინგის თემას წარმოადგენდა „რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე“.

აღნიშნული ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა საწარმოში, სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენის, რისკების განსაზღვრის/ შეფასების, მათი შემცირების, ან აღმოფხვრის მეთოდებისა და სისტემური მიდგომების შესწავლა. პრგრამა პრაქტიკული გამოყენებისაა და დაფუძნებულია შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პირობების თანამედროვე სტანდარტებსა და მიდგომებზე. ამგვარ სწავლებაზე დამყარებული პრაქტიკა საშუალებას იძლევა არა მხოლოდ პერსონალის უსაფრთხოების გარანტიების, არამედ ხელს უწყობს კომპანიის შემოსავლების ზრდას.

ტრენინგს უძღვებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციია (ILO) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკაცები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია კომპანიებს სისტემატურად სთავაზობს როგორც ჯგუფურ, ისე კორპორატიულ ტრენინგებს შრომის უსაფრთხოების საკითხებში, რომლების დაფუძნებულია საქართველოს მთავრობის დადენილებებზე, რეგულაციებსა და ევროდირექტივებზე. ამდენად, ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება კომპანიებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდენენ შრომის ინსპექციის მონიტორინგს.

## პროფესიული განათლების პროექტი - სემინარი

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით ახორცილებს „პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტს“, რომლის მიზანია შრომის ბაზარზე ადეკვატური ადამინური რესურსის კვალიფიკაციის გაძლიერება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა „კადრებზე მოთხოვნის სისტემური საინფორმაციო ბაზა“ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიების შესწავლის მოდულების შემუშავებით.

30 იანვარს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში აღნიშნული პროექტის ფარგლებში გერმანელ პარტნიორებთან ერთად ჩატარდა სემინარი: „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განვითარება კომპანიის დონეზე სოციალური პარტნიორობის ფორმატში“.

სემინარზე, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანელი ექსპერტები, ბიზნეს სექტორი და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგნლები, წარმოადგინეს ელექტრონული ბაზის ამუშავების პირველადი შედეგები, რომელიც ემსახურება საწარმოების ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებას.

სემინარზე მხარეებმა იმსჯელეს ბიზნეს სუბიექტებისათვის აღნიშნული სისტემის პოზიტიური ეფექტების და მისი გაუმჯობესების გზების შესახებ.

სოციალურმა პარტნიორებმა და ბიზნეს სექტორმა გერმანელი ექსპერტების ჰანს-გიუნტერ ტრეპტესა და კერსტენ ბარტელსის მხირდან მოისმინეს ხედვები და რეკომედაციები სისტემის დახვეწის შესახებ.

სემინარი გახსნეს საქართველოს პროფესიული განვითარების აპარატის უფროსი ლაშა ბლიაძემ და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიშა კორძახიამ.

ამდენად, დამსაქმებელთა ასოციაცია ამ ეტაპზე აქტიურად ამუშავებს სისტემურ საინფორმაციო ბაზას, რომელიც იქმნება მრავალხმრივი ჩართულობით და მომავალში ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის განვითარების სერვისების მიწოდებას.

ბიზნეს გაერთიანება GEA
მის.: 0159, ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი
ტელ.: +995 32 2 14 73 73 მობ.: +995 579 555 551
ელ.ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge
www.facebook.com/GEA